

თავდებობა, როგორც სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების
უზრუნველყოფის საშუალება

ნინო ხარებაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თავდებობის, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების სამართლებრივი ბუნების თავისებურებანი. მისი გამოყენების აქტუალურობა სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებთან ურთიერთმიმართებაში. გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ამ ინსტიტუტებს არეგულირებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. გამოკვეთილია ხარვეზები, რომლებსაც თავდებობასთან მიმართებაში ზოგიერთი ნორმის შინაარსში ვხვდებით, რაც უმთავრესად რეცეფციის დროს თარგმანის ხარვეზებს უკავშირდება; ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზებია შემოთავაზებული. განხილულია თავდებობის საბანკო გარანტიისაგან გამიჯვნის კრიტერიუმები. ყურადღება გამახვილებულია სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობაზე. სასესხო-საკრედიტო ურთიერთობების შინაარსიდან გამომდინარე უნდა მოხდეს საბანკო კრედიტის გავრცელებული და ცალკეული სახეების ნორმატიული რეგულირება. განსაკუთრებით კი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებაში საკანონმდებლო სივრცის შექმნის აუცილებლობაა წარმოჩენილი.

საკვანძო სიტყვები: თავდებობა, სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, საბანკო გარანტია, სესხი, საბანკო კრედიტი.

Abstract

The following work reveals the specific characteristics of nature of Suretyship contract as a contractual remedy for securing a claim. The paper considers the important issues such as the distinction between Suretyship and Bank Guarantee contracts, the relevance in relation with the Contracts of Loan and Bank credit and the legislative regulations organizing above mentioned institutions via Georgian Civil Code. Furthermore, the present article discloses the defects in certain rules, generally caused by the translation during the reception. Of course the ways of remedies are given. The work pays high attention to necessity of differentiation of Loan and Bank credit contracts. According to the content of above referred contracts the legal regulation of widely-spread and well-known types of Bank Credit agreement is indispensable. In particular the question about the essentiality of creation an adequate legal space over Consumer Loan institution is significantly represented.

Key Words: Suretyship, A contractual remedy for securing a claim, Bank Guarantee, Loan, Bank Credit.